# საბაზო-საშულო საფეხურის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობა თბილისის 216-ე საჯარო სკოლაში

ბელა ხორბალაძე, თამუნა დუნდუა, მანანა მახარაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ზოგადი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - მაკა კორძაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

## მადლობა

გვსურს მადლობა გადავუხადოთ სსიპ ქალაქ თბილისის 216-ე საჯარო სკოლის პედაგოგებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი კვლევის პროცესში. მათი თანამონაწილეობით კვლევის ყველა ეტაპზე განხორციელდა და საბოლოო სახე მიიღო ნაშრომმა. განსაკუთრებული მადლობა სკოლის საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებმაც გამოთქვეს მზაობა და მონაწილეობა მიიღეს განხორციელებულ აქტივობებში.

გულწრფელ მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს, ქალბატონ მაკა კორძაძეს, მისი მხარდაჭერისა და ფასდაუდებელი რჩევებისთვის, რომლებიც დაგვეხმარა კვლევის განხორციელებაში და შემდგომ საბოლოო ანგარიშის წარდგენაში.

ასევე, მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელმაც საშუალება მოგვცა მიგვეღო გამოცდილება, გავზრდილიყავით პროფესიულად და ვყოფილიყავით კვლევითი პროცესის აქტიური მონაწილეები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ჩვენი კვლევის განხორციელებაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს უკავია, რისთვისაც უღრმესი მადლობა გვინდა ვუთხრათ მის პერსონალს მხარში დგომისთვის.

## განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ბელა ხორბალაძე

თამუნა დუნდუა

მანანა მახარაძე

13.06.2025

# აბსტრაქტი


სამაგისტრო ნაშრომი თემაზე “საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობა”, წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისის 216-ე საჯარო სკოლაში.

სკოლა დაინტერესებული იყო პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ეფექტიანი სისტემის შექმნით, თუმცა ვერ ახერხებდა ამ მიმართულებით სისტემური, მდგრადი მექანიზმების ამოქმედებას.

კვლევის მიზანი სკოლაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ერთიანი, სისტემური და მდგრადი მექანიზმის შექმნის ხელშეწყობაა.

კვლევის საფუძველს წარმოადგენდა სკოლაში არსებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პრაქტიკის შესწავლა, შეფასება, პრობლემების დადგენა და ანალიზი, ბოლოს კი საჭირო ინტერვენციების დანერგვა.

ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდებია: სამაგიდო კვლევა, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. ასეთმა კომპლექსურმა მიდგომამ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით სკოლის საჭიროებების საფუძვლიანი ანალიზის შესაძლებლობა მოგვცა, რათა მასზე დაყრდნობით დაგვეგეგმა და განგვეხორციელებინა ეფექტიანი ინტერვენციები.

ჩვენ მიერ განხორციელებული ინტერვენციები მოიცავდა სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, სკოლისთვის ვებგვერდის შექმნას, სადაც თავი მოიყარა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებულმა აქტივობებმა და ისეთმა მასალებმა, როგორიცაა სახელმძღვანელოები, გზამკვლევები,

რესურსები, თვითსაკვლევი ტესტები, მათ შორის ჰოლანდის ტესტი. დაინიცირდა, ასევე, მომავალი წლის სასკოლო კურიკულუმში შესაბამისი ცვლილებები.

ინტერვენციების შეფასებამ აჩვენა, რომ ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნა/ცნობიერება პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის საკითხებზე. მასწავლებლებმა უკეთ გაიაზრეს პროფესიული განათლების მნიშვნელობა და საკუთარი როლი მოსწავლეთა პროფორიენტაციის პროცესში, სკოლის დირექტორს მიეწოდა სათანადო მექანიზმები სკოლაში პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.

ინტერვენციების შეფასების შედეგები გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ განხორციელებული პრაქტიკის კვლევა და ინტერვენციები სკოლას დაეხმარება სწორი ნაბიჯები გადადგას პროფესიული ორიენტაციის ეფექტიანი მექანიზმის ამუშავებისკენ.

**საძიებო სიტყვები:** პრაქტიკის კვლევა, პროფესიული ორიენტაცია, კარიერის დაგეგმვა, ინტერესები, უნარები, ჰოლანდის ტესტი, პრაქტიკული გამოცდილება, სისტემური მექანიზმი, სამოქმედო გეგმა.

## Abstract

Master's thesis on the topic "Promoting Professional Orientation and Career Planning of Basic and Secondary School Students" represents a report on a practice study conducted at LEPL Tbilisi N216 Public School.

The school was interested in establishing an effective system for professional orientation and career planning, but struggled to implement consistent, sustainable mechanisms in this area.

The study aims to provide a unified, systematic and sustainable mechanism to support professional orientation and career planning among students of basic and secondary grades.

The research was based on the study, evaluation, problem identification, and analysis of existing professional orientation and career planning practices at the school, followed by the implementation of necessary interventions.

The research methods used in the paper include: desk research, as well as quantitative and qualitative approaches. This comprehensive methodology enabled a thorough analysis of the school's needs in the area of professional orientation and career planning, providing a foundation for preparing and implementation of effective interventions.

Our interventions included the development of a school strategic and action plan, the creation of a dedicated website that brought together all professional orientation activities carried out at school and materials such as textbooks, guides, resources, self-assessment tools, including the Holland Test. Additionally, relevant changes to the school curriculum were also initiated for the upcoming academic school year.

The evaluation of the interventions revealed increased student awareness of professional orientation and career planning issues. Teachers became more aware of the significance of professional orientation and their role in guiding students' career choices. The school

principal was equipped with appropriate mechanisms to support the sustainability of the career guidance and career planning system in the school.

The findings from the evaluation of the interventions indicate that the implemented research and interventions carried out will support the school in taking the necessary steps toward developing an effective system for professional orientation.

**Search words:** practice research, professional orientation, career planning, interests, skills, Holland test, practical experience, systemic mechanism, action plan.